ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 13 დეკემბრის სხდომის
ოქმი N 16

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 13 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 31.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის დაწყებამდე დააყენა სტუდენტთა თვითმმართველობიდან წევრების ჩანაცვლებისა (ახალი წევრების სია იხ. დანართი 1) და მათი უფლებამოსილების ცნობის საკითხი, რაც ერთხმად დაადასტურეს საბჭოს წევრებმა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ
2. ცვლილებები სასწავლო პროგრამაში
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ამჟამად ფაკულტეტს ჰყავს დაახლოებით 3000 სტუდენტი. შესაბამისად, ჩვენი შემოსავალია 3000×2250 ლარი. ბიუჯეტში გათვალისწინებული გარკვეული კატეგორიის ხარჯები თსუ-ს მხრიდან შემცირდა. თუმცა სხვა ხარჯების (წარმომადგენლობითი და უცხოელ პროფესორთა მოწვევის ხარჯები) შემცირების ხარჯზე მაინც მოვახერხეთ სახელფასო ფონდის გაზრდა. შემდეგ ბატონმა რამაზმა განიხილა ბიუჯეტის ცალკეული კატეგორიები (იხ. დანართი).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. შემდეგ კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პროფ. მ.ხაჩიძემ განაცხადა, რომ მის დეპარტამენტს „დაკარგული“ აქვს ტექნიკური პერსონალის 5 საშტატო ერთეული და დაინტერესდა, სად შეიძლება გაარკვიოს აღნიშნული საკითხი. სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ასეთი ვაკანსიები არ ფიგურირებს ფაკულტეტის საშტატო ერთეულების ჩამონათვალში და ურჩია ქ-ნ მანანას ეს საკითხი პერსონალის მართვის დეპარტამენტში გაარკვიოს.

პროფესორმა ა.შენგელაიამ დასვა საკითხი, თუ როდის იქნება შესაძლებელი თანხის მიღება იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების წახალისების ფონდიდან. შესაბამისი თანხა ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ სახსრების უქონლობის გამო საფინანსო დეპარტამენტი უარზეა გასცეს ეს თანხა. პროფესორმა ა.შენგელაიამ გაკვირვება გამოხატა იმის შესახებ, თუ რატომ შეიქმნა კრიზისი, მაშინ როცა წინა წლებში თსუ-ს ბიუჯეტში ყოველთვის რჩებოდა დაზოგილი 6-7 მლნ ლარი და სინანული გამოთქვა, რომ არ ხდება სამეცნიერო მუშაობის წახალისება. მან აღნიშნა, რომ საკითხი დადის უნივერსიტეტის სახელმწიფო დაფინანსების აუცილებლობამდე. უნივერსიტეტი მხოლოდ სტუდენტების მიერ

გადახდილ ფულზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. პროფესორმა დ. კერესელიძემ აღნიშნა, რომ მიუღებლად მიაჩნია თანამშრომელზე ეკონომიის გაწევა. პროფესორმა ო.მუკბანიანმა აღნიშნა, რომ საბჭომ უნდა მოითხოვოს თანადაფინანსება, რათა უზრუნველყონ ექსპერიმენტული დარგების სტუდენტებისთვის ღირსეული სასწავლო გარემოს შექმნა.

პროფესორმა ნ.შათაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილი იქნება, თუ საბჭო რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს ამ საკითხზე. კრიზისის მიუხედავად არ უნდა მოხდეს მეცნიერული მიღწევების გათანაბრება. აზრი გამოთქვა პროფესორმა დ.ძიძიგურმა. მან აღნიშნა, რომ თუ გვინდა მომავალში სამეცნიერო კვლევა თსუ-ს პრიორიტეტი გახდეს, ამისთვის მეცნიერების წახალისება უნდა მოხდეს.

სტუდენტმა გ.მეშველიანმა ისაუბრა პრაქტიკაზე, რომელის არსებობს სხვა უნივერსიტეტებში - საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის ჩატარებაზე და დაამატა, რომ კონფერენციის საწევრო გადასახადი შეიძლება გარკვეული შემოსავლის წყარო გახდეს. მან ასევე ისაუბრა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის სტუდენტისთვის გამოყოფილ ხარჯზე, რაც 1600 ლარს შეადგენს 1 სტუდენტზე. ვალუტი კურსის ცვლილების მიუხედავად ეს თანხა ფიქსირებულია. გ.მეშველიანმა იკითხა, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული თანხის გაზრდა, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ფიქსირებული თანხა „მიბმულია“ სტუდენტის სწავლის ფიქსირებულ გადასახადზე.

სხდომის თავმჯომარემ საბჭოს წევრებს მოუწოდა, რომ დაუბრუნდნენ 2017 წლის ბიუჯეტის საკითხს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტში 130000 ლარის ეკონომია გვაქვს. თუ ეს ბიუჯეტი დაგვიმტკიცეს, მაშინ მომავალი წლის ბიუჯეტში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას თანხა ინფაქტ-ფაქტორიანი სამეცნიერო სტატიებისთვის.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 2.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის 2017 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები სასწავლო პროგრამაში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან აღნიშნა, რომ ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის არჩევით კურსში "მაკრომოლეკულების ქიმია" საათების კვირეული განაწილება 1 სთ ლექცია / 1 სთ სემინარი / 2 სთ ლაბორატორია შეიცვალოს საათების განაწილებით 1 სთ ლექცია / 3 სთ ლაბორატორია;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ცვლილებას ქიმიის საბაკალავრო პროგრამაში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილება ქიმიის საბაკალავრო პროგრამაში: ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის არჩევით კურსში "მაკრომოლეკულების ქიმია" საათების კვირეული განაწილება 1 სთ ლექცია / 1 სთ სემინარი / 2 სთ ლაბორატორია შეიცვალოს საათების განაწილებით 1 სთ ლექცია / 3 სთ ლაბორატორია .

3. მოისმინეს: მიმდინარე საკითხები. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს აცნობა, რომ საბჭოს წევრ სტუდენტებს აქვთ გარკვეული მოთხოვნები და წინადადებები. ისინი შეათანხმებენ ამას ერთმანეთში და სხვა სტუდენტებთანაც და მომდევნო სხდომებზე გაგვაცნობენ მათთვის პრიორიტეტულ საკითხებს.

აზრი გამოთქვეს: სტუდენტმა გ.მეშველიანმა. მან კმაყოფილება გამოთქვა აღნიშნულის გამო.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი